პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 284 (15194)

9 დეკემბერი ხუთშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გუშინ თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ცხრამეტი დარგაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია



თბილისი, 1971 წლის 8 დეკემბერი. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის სხდომა. სურათზე: სესიის პრეზიდიუმში, ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. ჯავახიშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

8 დეკემბრის დილის სხდომა

მიმავალი წლის უკანასკნელი კვირეებია. ძალღონით აღსავსე, ახალი დიდი მიღწევებისათვის დარაზმული, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ეგებება საბჭოთა ხალხი მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს...

1971 წელი დირსშესანიშნავია ჩვენი ქვეყნისათვის. ეს არის სკკპ XXIV ყრილობის წელი, რომელიც ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირული ისტორიაში, ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში შემდგომი კომუნისტური მშენებლობის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ახალი მნიშვნელოვანი ამაღლების დიდებული პერსპექტივები. ეს არის ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში მიღწეულ ახალ წარმატებათა წელი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამასწინანდელი ვიზიტები საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში ერთხელ კიდევ მოწმობენ იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც პარტია ეწევა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება ახლა მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის პარტიის და ხალხის ბრძოლის ნიშნით. მეცხრე ხუთწლედის უკვე პირველ წელს დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ხუთწლედის მთავარი მიზნის — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უზრუნველყოფის გზაზე.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის დამაჯერებლად ადასტურებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილებანი. ყველა საბჭოთა ადამიანი, მათ შორის საქართველოს მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც სესიამ დაამტკიცა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. ამ გეგმაში ჩაქსოვილია ხალხის სიბრძნე და პარტიის კოლექტიური გამოცდილება. მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლის ვითარებაში ცხოვრობს ახლა ჩვენი ქვეყანა, მკაფიოდ მოწმობს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს სამეზნის ორდენოსანი საქართველოს მშრომელებიც, რომლებმაც წელს ზეიმით აღნიშნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცდაათი წლისთავი. რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა გადაწყვიტეს ვადამდე — 25 დეკემბრისთვის შეასრულონ პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა. ეხინი პირნათლად ასრულებენ თავიანთ სიტყვას. მრეწველობამ. ეხინი პირნათლად ასრულებენ თავიანთ სიტყვას. მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის თერმეტი თვის გეგმა შესრულდა 23 ნოემბრისათვის. კარგად იშრომეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსადმი თვის ჩაის. მარცვლეულის მოყიდვის გეგმები და ვალდებულებანი, ბოჯოდეს სოფლის მეურნეობის სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება. დიდი აღმავლობის გზაზეა კულტურა, მეცნიერება, ტექნიკა.

მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის მუშაობის კეთილნაყოფიერი შედეგები ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველს ქმნიან.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზრუნველყოთ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების კიდევ უფრო სწრაფი ტემპები. გავაუმჯობესოთ მშრომელთა კეთილდღეობა, როგორი იქნება შემდგომი წინსვლის გზები ხუთწლედის მეორე წელს. რა მიზნებს უნდა მივაღწიოთ ხუთწლეულში — ყველა ეს საარსებო მნიშვნელობის საკითხი გადაიჭრება საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე, რომლის პირველი სხდომა რვა დეკემბერს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ბ. ნ. გრიგალაშვილი, შ. მ. შაკაია, ლ. ა. ხოზრევანიძე, ა. კ. ხუბაევი.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, პ. ვ. მელნიკოვი, ვ. ბ. მეკალაძე, ა. ნ. ჩუბრაინი, ნ. შ. ცხაკაია, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ბანუელაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, რ. ვ. მეგრელელი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

ამტკიცებენ სესიის მუშაობის დღის წესრიგს. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა.
2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა.
3. საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
4. საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ კანონების პროექტები.
5. საქართველოს სსრ შრომა-განსწორების კოდექსის პროექტი.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

ამტკიცებენ სესიის მუშაობის წესსაც.

დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხების განხილვას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ბ. დ. ჯავახიშვილს სიტყვა ეძლევა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა". მისი მოხსენება დიდი ყურადღებით და ინტერესით მოისმინეს.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — „საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება" მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ვ. ბერაძაძემ.

ცხადდება შესვენება.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ლ. ა. ხოზრევანიძე.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივ კომისიათა, თანამოხსენებნი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება", რომელიც გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. შ. ცხაკაიამ.

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ:

დეპუტატები ა. ი. კოკლატაძე (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ქ. ბათუმი), შ. მ. შაკაია (კვეზანის საარჩევნო ოლქი, ქ. ტყვარჩელი) ნ. ა. ფვანია (გურამიშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), დ. ბ. შარაშიძე (გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი, ქ. ბათუმი).

კამათის მონაწილე ყველა დეპუტატმა და ორატორმა აღნიშნა, რომ სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა, სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის. საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შედგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად და ხასიათით ეთანხმება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანებს. ხაზმის ცოდნით, ღრმა დაინტერესებით განიხილავენ ხალხის რჩეულნი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის ძირითად მაჩვენებლებს, აგრეთვე სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს. და ეს ხასიათით გასაგებია რადგან თითქმის არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელსაც არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, არ ჰყავდეს ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან ამა თუ იმ დარგის შესაძლებლობანი და პერსპექტივები. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ახალ ხუთწლიდში უნდა გადაიჭრას მეტად დიდი ამოცანები. მოხსენებათა განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ძირითადი ამოცანის შესრულებას, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

კამათში გამოსული დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს მშრომელების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის ფიქრები და მისწრაფებანი ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ წარმატებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, გაანადღონ ახალი ხუთწლედის დავალებანი. პატრიოტულ თაოსნობას — „ხუთწლედი — ვადამდე" ფართოდ გამოეხმაურნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები. დიდი სიამაყით ილაპარაკეს დეპუტატებმა მოპოვებულ წარმატებებზე. მათ აღნიშნეს მიღწევები და ამავე დროს უურადღება გაამახვილეს გადაუჭრელ ამოცანებზე, ანალიზი გაუკეთეს შეცდომებს. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ წარმოების ეფექტიანობის გადიდების რეზერვები არის ყოველ საწარმოში, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამოცანა ეს არის, რომ ავამოქმედოთ ისინი და ამით რეალური წვლილი შევიტანოთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დილის სხდომა.

8 დეკემბრის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ბ. ნ. გრიგალაშვილი.

დეპუტატები კვლავ იხილავდნენ მოხსენებებს „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა", „საქართველოს სსრ 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება", „ეგრეთვე თანამოხსენებას.

კამათში გამოვიდნენ:

დეპუტატი ბ. ა. ბუგულაშვილი (ზნაურის საარჩევნო ოლქი, ზნაურის რაიონი), დეპუტატი ვ. ი. ხარმბაია (თბილისის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), დეპუტატი ნ. ი. დუბაღოვა (ისნის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), დეპუტატი ბ. ნ. ჯიბლაძე (ცოროვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), დეპუტატი ს. ბ. პეტროსიანი (ოკამის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), დეპუტატი დ. ა. ალექსიძე (მარჯანიშვილის საარჩევნო ოლქი, ქალაქი, თბილისი), დეპუტატი თ. ა. ბერულავა (რუხის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), დეპუტატი მ. ნ. კრაწაშვილი (მაღაროს საარჩევნო ოლქი, ხიდნალის რაიონი), დეპუტატი ბ. ს. დუნიძე (სასოფლო საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი), დეპუტატი ვ. ი. გოგუელიძე (მეჯვრისხევის საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი), დეპუტატი ა. ი. შადური (ბაზალეთის საარჩევნო ოლქი, დუშეთის რაიონი), დეპუტატი ე. ბ. სურგულაძე (ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი).

სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ მეცხრე ხუთწლედი დიდი ნაბიჯი იქნება კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი ეტაპის ამოცანათა შესრულების გზაზე.

მათ მხურვალედ მოიწონეს სესიის განსახილველად წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის, მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები და აღნიშნეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა თითოეულმა საწარმომ, მშენებლობამ, თითოეულმა დაწესებულებამ, საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულოს აგეგმო დავალებანი. მათ დიდი ყურადღება დაუთმეს შეჯიბრების მოწინავეთა ისეთ პატრიოტულ თაოსნობებს, როგორიცაა მასობრივი მოძრაობა წარმოების მაღალი კულტურისა და სამუშაო კვირის დავალებათა ოთხ დღეში შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის კომპლექსური პირადი გეგმების შემუშავება და სხვ.

დეპუტატებმა გამოთქვეს თეული რიგი კრიტიკული შენიშვნები ზოგიერთი საწარმოს, სამინისტროს, მგეგმავი ორგანოს მიმართ, აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო ფაზედულად გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი, განვახორციელოთ მათი აღმოფხვრის გადამწყვეტი ღონისძიებანი.

მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებმაც პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გრანდიოზული პროგრამა მიიღეს როგორც თავიანთი ღვიძლი, საარსებო საქმე, იმუშავებენ გაორკეცებული ენერგიით, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების უსწრაფესად განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

9 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობა

ვარშავა, 7 დეკემბერი. (საქდესი სპეც. კორ.). 7 დეკემბერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის სხდომათა შორის შესვენების დროს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციებმა დაათვალიერეს გამოფენა „მშრომელი ადამიანი ხელოვნებაში", რომელიც გახსნილია კულტურისა და მეცნიერების სასახლეში. აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობისათვის საჩუქრების გადაცემის ცერემონია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. გიერეკს სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობისადმი საჩუქრად გადასცა ა. ლენინის სურათი „ლენინი და ძერჟინსკი". სურათზე ასახულია რევოლუციის ბელადები წითელ მოედანზე.

7 დეკემბერს საღამოს ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში გაიმართა კონცერტი „ვარშავის მსახიობები —პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის დელეგატებს". კონცერტს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, სხვა მოძმე პარტიების დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობენ ყრილობის მუშაობაში.

ვარშავა, 8 დეკემბერი. (საკდესი). აქ მუშაობას განაგრძობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობა. დღეს დელეგატები მონაწილეობენ ყრილობის სამუშაო ჯგუფების სხდომებში.

მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, რომლებიც ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ, დილით გაემგზავრნენ ქვეყნის სხვადასხვა სავოვეოდოში სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებთან შესახვედრად.

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

7 დეკემბერს ოსლოდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც დანიისა და ნორვეგიის მთავრობათა მიწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ამ ქვეყნებში. მასთან ერთად დაბრუნდნენ ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. კოლუსონი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დ. ხუდაიბერდიევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სმირნოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ვ. ანდრეპოვი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ტ. სოვიკოვი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრეჩკო, ტ. ბ. გუელნო, ა. ა. ია.ოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, ნ. ა. ბაროლიჩევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ დანიის ელჩი სსრ კავშირში ანკერ სვარტი და ნორვეგიის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ტ. ბ. სვენსენი.

მოლაპარაკება კრემლში

7 დეკემბერს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. ჰოლიანსკისა და იემენის არაბთა რესპუბლიკის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს აბდურაჰმან ალ-არიანის, იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრ მოჰსენ აჰმედ ალ-აინის შორის.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, განხილეს საბჭოთა კავშირსა და იემენის არაბთა რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებასთან და განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები. ჯიმმართა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებზე, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხებზე.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკდესი).

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

სსრ კავშირას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 7 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი და გამართეს იემენის არაბთა რესპუბლიკის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის აბდურაჰმან ალ-არიანის პატივსაცემად.

სადილი სტუმართან ერთად სადილზე იყვნენ იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰსენ აჰმედ ალ-აინი, მისი თანხმლები სხვა სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. ჰოლიანსკი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ტ. სოვიკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ვ. პოდგორნინმ და აბდურაჰმან ალ-არიანმ სიტყვები წარმოთქვეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია ღირსშესანშნავ ვითარებაში იწყებს მუშაობას.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული. დიდი მონდომებით შრომობს, აკეთებს გმირობისა და სიმამაცის თვალსაჩინო მაგალითებს პარტიის XXIV კრებლობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის განვითარების დიდი სოციალურ-ეკონომიური პროგრამის განხორციელებისა და კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც განხილა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, დიდი აღმავლობა ჰპოვა საბჭოთა ხალხში, ხოლო ამ პლენუმის გადაწყვეტილებებმა ერთხელ კიდევ იმდაფქვს კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი, თანმიმდიერული და მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება.

პლენუმზე განსაკუთრებით ხაზგასმული იქნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი საერთაშორისო აქციების უდიდესი მნიშვნელობა, ის დიდი შედეგები, რაც გამოიღო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ახლახან დამთავრებულმა ვიზიტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ყველასათვის ნათელია, რომ ამ ვიზიტებმა ნაბიჯი-მა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, კიდევ უფრო განამტკიცეს და აამაღლეს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე, გააძლიერეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების პოზიციები. საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მოწინავე კაცობრიობა მზერავდა მიესალმება და მხარს უჭერს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რადგან ნათლად ხედავს, რომ ეს პოლიტიკა ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს და ამ ინტერესებს ემსახურება.

ჩვენი პარტიის ყველა გადაწყვეტილებამ და ღონისძიებებმა ეკონომიური განვითარების დარგში ნათელი გამოხატულება ჰპოვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი სესიის მიერ მიღებულ კანონებში, 1971-75 წლების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმაში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტში. ეს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტები ნათლად მოწმობენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებაზე, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიერი და თავდაცვითუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებაზე და ჩვენი ხალხის შეუნელებელ ბრძოლაზე კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა შედგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კრებლობის დირექტივების სრული შესაბამისობით. იგი არა მარტო ითვალისწინებს მეურნეობის ყველა დარგის განვითარების მაღალი ტემპების შენარჩუნებას, არამედ ამ გეგმით დასახული მიზან-ამოცანები და დიდი ფუნქციები ჩვენ ეროვნული შემოსავლის ზრდა, ეროვნული შემოსავლის მატების ძირითადი ფონდები ანუ წინა ხუთწლედთან შედარებით 46 პროცენტით მეტი. განხორციელდა მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, გაფართოვდა და ახალი ტექნიკური შეიარაღების დიდი პროგრამის განხორციელება.

მეცხრე ხუთწლედის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების მოცულობის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად დასახულია დიდი ხარისხობრივი ცვლილებანი, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგვა.

სამეურნეო განვითარების ეს პრინციპები იყო ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1969 წ.) პლენუმზე, რამაც შემდგომ მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა პარტიის XXIV კრებლობის დირექტივებში ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრავალ ღონისძიებას, სამეურნეო ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ამოცანებისაკენ მათ შორის აღსანიშნავია საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულება, კომუნალური, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, ხელფასის მინიმალური ოდენობის გადიდება, საშუალოხელფასიანი მუშა-მოსამსახურეების განაკვეთებისა და სარგოების ზრდა, სკოლამდელ დაწესებულებათა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და გაუმჯობესება. განთავისუფლებულია საზოგადოების შრომისუუნარო წევრთა ცხოვრების დონის ამაღლების დიდი ღონისძიებანი — სპეციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის გაუმჯობესება, ინვალიდებისა და მათი ოჯახების ეკონომიურად უკეთ უზრუნველყოფის საკითხები, აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდება და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და საავადმყოფოებში კვების ნორმების გადიდების საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ხალხის კულტურული დონის ამაღლების საკითხებზე, მეცნიერების განვითარების, საბჭოთა ადამიანების იდეური აღზრდისა და მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხებზე. ყოველივე ამან სათანადო გამოხატულება ჰპოვა მეცხრე ხუთწლიან გეგმაში.

Ამხანაგო დეპუტატებო! სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და განვითარების დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამებას, როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ფართო პერსპექტივებს უქმნის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას. ითვალისწინებულია მაღალეფექტიანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ერთიანი სახელმწიფოებრივი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი სესიის მასალები ფართოდ იქნა გაშუქებული პრესაში, კომენტარებული რადიოთი და ტელევიზიით, მაგრამ მე მაინც ნებას მივცემ ჩემ თავს მოვიყვანო ახალი ხუთწლიანი გეგმის ზოგიერთი ძირითადი დავალებები და კიდევ ერთხელ გავამახვილო თქვენი ყურადღება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ზოგიერთ საკვანძო საკითხზე.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საზოგადოებრივი წარმოების ზრდას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას და მის საფუძველზე ეროვნული შემოსავლის გადიდებას 38,5 პროცენტით, ამასთან ეროვნული შემოსავლის მატების ძირითადი ნაწილი მიღებულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე.

ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულების საფუძველზე რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადიდდება 31,8 პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები კი — 40,6 პროცენტით.

მატერიალური წარმოების დარგთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მრეწველობის პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპი. დასახულია ამოცანა გაფართოვდეს და სრულყოფილ იქნას სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა, განმტკიცდეს და გაიარდოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახალ ხუთწლედში მრეწველობის ყველა დარგი უნდა აღიქვეროს უფრო სრულყოფილი იარაღმანქანებით, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზებით და ხელსაწყოებით. უნდა შეიქმნას ბევრი ახალი მაღალეფექტიანი მასალების წარმოება.

დიდი ღონისძიებებია დასახული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ხაზით. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით პროდუქციის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაახლოებით ერთი მესამედით გადიდდება. გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის განვითარებას. მის აღჭურვას თანამედროვე იარაღ-მანქანებით, მის მომარაგებას მასალებით, მინერალური სასუქებითა და ზამქიმიკატებით.

1975 წლის ბოლოსათვის ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულების საფუძველზე ყველა ძირითადი ფონდის ღირებულება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მიაღწევს 3 ტრილიონ მანეთზე მეტს.

მეცხრე ხუთწლედში თითქმის 40 პროცენტით იზრდება კაპიტალური დაბანდებათა მოცულობა. გათვალისწინებულია ადრე დაწყებულ მშენებლობათა უსწრაფესად დამთავრება და ამრიგად მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დიდი პროგრამის განხორციელება.

მეცხრე ხუთწლედის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების მოცულობის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად დასახულია დიდი ხარისხობრივი ცვლილებანი, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგვა.

სამეურნეო განვითარების ეს პრინციპები იყო ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1969 წ.) პლენუმზე, რამაც შემდგომ მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა პარტიის XXIV კრებლობის დირექტივებში ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრავალ ღონისძიებას, სამეურნეო ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ამოცანებისაკენ მათ შორის აღსანიშნავია საბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულება, კომუნალური, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, ხელფასის მინიმალური ოდენობის გადიდება, საშუალოხელფასიანი მუშა-მოსამსახურეების განაკვეთებისა და სარგოების ზრდა, სკოლამდელ დაწესებულებათა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და გაუმჯობესება. ითვალისწინებულია საზოგადოების შრომისუუნარო წევრთა ცხოვრების დონის ამაღლების დიდი ღონისძიებანი — სპეციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის გაუმჯობესება, ინვალიდებისა და მათი ოჯახების ეკონომიურად უკეთ უზრუნველყოფის საკითხები, აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა სტიპენდიების გადიდება და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და საავადმყოფოებში კვების ნორმების გადიდების საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ხალხის კულტურული დონის ამაღლების საკითხებზე, მეცნიერების განვითარების, საბჭოთა ადამიანების იდეური აღზრდისა და მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხებზე. ყოველივე ამან სათანადო გამოხატულება ჰპოვა მეცხრე ხუთწლიან გეგმაში.

Ამხანაგო დეპუტატებო! სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და განვითარების დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამებას, როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებას.

